გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგაზეთო მოხსენებებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 90 (12906) | პარასკევი, 17 აპრილი. 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგ
ნიკიტა სერგის-ძე
ხრუშჩოვს
დღეს უსრულდება
დაბადების
70 წელი



ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად და მხურვალედ გილოცავენ თქვენ, ერთგულ ლენინელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლს თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავს.

გმირი მუშათა კლასის სახელოვანმა შვილმა, თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, განვლეთ ძველი რუსეთის პროლეტარების შრომისა და ბრძოლის მკაცრი სკოლა. მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება განუყრელად არის დაკავშირებული ლენინური პარტიის, ჩვენი დიადი ხალხის რევოლუციურ საქმიანობასთან. სამოქალაქო ომის წლებში, როცა პოლიტიკურ სამუშაოზე იყავით წითელ არმიაში, თქვენ იარაღით ხელში იბრძოდით ინტერვენტებისა და თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მთელ თქვენს ძალღონეს ახმართ სოციალისტურ მშენებლობას, მრავალი წლის მანძილზე სათავეში უდექით უკრაინის სსრ და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებს.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, ჩვენი პარტიის სხვა მოღვაწეებთან ერთად, თქვენ უშუალოდ საბრძოლო ფრონტებზე ხელმძღვანელობდით საბჭოთა მეომრების თავდადებულ ბრძოლას ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ. თქვენ იყავით მოქმედი არმიის მთელი რიგი ფრონტების სამხედრო საბჭოების წევრი და უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდით მთავარი სამხედრო ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში, ისტორიულ ბრძოლებში ვოლგოგრადთან, კურსკთან და ორიოლთან და სხვა ბრძოლებში.

ათ წელიწადზე მეტია, რაც თქვენ ერთსულოვნად აგიჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და 1958 წლიდან მეთაურობთ საბჭოთა მთავრობას. ამ უმნიშვნელოვანეს პოსტებზე თქვენ დაუცხრომელი ენერგიით ასრულებთ განსაკუთრებით რთულ და პასუხსაგებ მოვალეობას პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე.

თავის XX ყრილობაზე ჩვენმა პარტიამ თქვენი ინიციატივით აიღო პიროვნების კულტის მძიმე შედეგების ლიკვიდაციის, პარტიული და სახელმწიფო საქმიანობის ლენინური პრინციპების აღდგენისა და განვითარების, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის განხორციელების მტკიცე კურსი. ამ კურსს პარტია ახორციელებდა გააფთრებულ ბრძოლაში ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც გაანადგურა და ერთსულოვნად დაგმო მთელმა პარტიამ. კარგად არის ცნობილი, თუ რა უდიდესი როლი შეასრულეთ და ლენინელი-რევოლუციონერის რა მამაცობა გამოიჩინეთ თქვენ სახელმწიფო და პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი სამშობლოს შესვლამ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში პარტიისაგან მოითხოვა ახალი თეორიული პრობლემების შემოქმედებითი დამუშავება, კომუნიზმისაკენ წინსვლის სრულიად გაუკვალავი გზების მეცნიერული განსაზღვრა. ცენტრალურ კომიტეტს თქვენი ხელმძღვანელობით უნდა გამოეჩინა მოვლენათა ღრმა გაგება, რევოლუციური გამბედაობა და ლენინური სიბრძნე, რათა შეემუშავებინა პარტიის სწორი გენერალური ხაზი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა, აღმოჩნდა მის წინაშე მდგარი ისტორიული ამოცანების სიმაღლეზე, მარქს-ენგელს-ლენინის დიად მოძღვრებაზე დაყრდნობით იგი წარმატებით წყვეტდა და წყვეტს თანამედროვეობის ურთულეს თეორიულ და პოლიტიკურ პრობლემებს. თქვენი უშუალო მონაწილეობით პარტიამ შეიმუშავა და თავის XXII ყრილობაზე მიიღო სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების პროგრამა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ახალი ეტაპია. მოძმე კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი უწოდეს.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ჩვენი პარტიის თეორიული დებულებების, მისი გენერალური ხაზის, მისი პრაქტიკული საქმიანობის სისწორე.

გასული, ჭეშმარიტად დიადი ათწლეულის მანძილზე, ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა უდიდესი გარდაქმნები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკის ხელმძღვანელობაში, რომლებმაც უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპი. პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა იციან, თუ რა უდიდესი ენერგიით, რა შესანიშნავი ორგანიზატორული ტალანტითა და საქმის ცოდნით ეკიდებით თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის მომწიფებულ საკითხებს, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

მთელ თქვენს მრავალფეროვან მოღვაწეობას ახასიათებს მჭიდრო კავშირი ხალხთან, დაუშრეტელი ინიციატივა და ენერგია, ცხოვრების პროცესების ღრმა ანალიზი, მისწრაფება სულ უფრო სწრაფად ვიაროთ წინ სანუკვარ მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ და ამასთან არ დავჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს. მთელი თქვენი ცხოვრება, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია. თქვენი ხელმძღვანელობით პარტიამ უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს ეკონომიური, თავდაცვითი და იდეურ-პოლიტიკური ძლიერების უმაგალითო ზრდა და მიაღწია დიდ წარმატებებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

განვლილმა ათწლეულმა დამაჯერებლად დაამტკიცა სსრ კავშირის ლენინური პრინციპული და მოქნილი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის უდიდესი სასიცოცხლო ძალა. დღეს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე დიდია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი როლი თანამედროვეობის ძირეული პრობლემების გადაწყვეტაში. ყველა ხალხი დიდად აფასებს იმ თვალსაჩინო წვლილს, რომელიც თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, შეიტანეთ მშვიდობის განმტკიცებისათვის. კოლონიალიზმის მოსპობისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია ახორციელებდა და ახორციელებს უდიდეს მუშაობას სოციალისტური სისტემის ქვეყნების თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვეს მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დოკუმენტებში — 1957 წლის დეკლარაციასა და 1960 წლის განცხადებაში. ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი თქვენი ხელმძღვანელობით, ნიკიტა სერგის-ძევ, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს რევიზიონიზმის, დოგმატიზმის, სექტანტობის, ნეოტროცკიზმის წინააღმდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების განმტკიცებისათვის.

ლენინურმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა თქვენი მეთაურობით ახორციელებენ, კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოების მონოლითური ერთობა, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, ყველა ეროვნების მშრომელები შეაკავშირა კომუნიზმის მშენებელთა ერთიან ძმურ კოლექტივად.

თქვენი მოღვაწეობით ჩვენი სამშობლოსა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ, თქვენ საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელების უღრმესი მადლობა, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეთ.

ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ!

თქვენი სახელოვანი იუბილეს დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გისურვებენ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, სიცოცხლესა და ახალ დიად საქმეებს ჩვენი დიდი სამშობლოს აყვავებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განვითარებაში, ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დიდი სამამულო ომის დროს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 16 აპრილი.

კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოფლის მეურნეობის განვითარება

მერვე ტომი
ნ. ს. ხრუშჩოვის
მოხსენებების და გამოსვლებისა
სოფლის მეურნეობის საკითხებზე

გამოვიდა მერვე ტომი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებების და გამოსვლებისა „კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში და სოფლის მეურნეობის განვითარება“, რომელიც გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

ნ. ს. ხრუშჩოვის ნაშრომთა ახალ ტომში დაბეჭდა მოხსენებანი, გამოსვლები, წერილები და საუბრები 1963 წლის მაისიდან 1964 წლის მარტამდე. დროის ეს პერიოდი აღინიშნა ფრთად მნიშვნელოვანი მოვლენებით ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებანი იმ გრანდიოზულ ღონისძიებათა ფონზეც კი, რომლებიც პარტიამ განახორციელა ამ ბოლო ათწლეულში სოფლის მეურნეობის დარგში, ჭეშმარიტად რევოლუციური გადაწყვეტილებანია.

ქიმიის დანერგვა რევოლუციას ნიშნავს მიწათმოქმედებაში. „ქიმია და მექანიზაცია, — აღნიშნავს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — აი ის, რაც უნდა იყოს დღეს პარტიის, მთავრობის, მთელი ხალხის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი სოფლის მეურნეობის დარგში. სასოფლო-სამეურნეო ქიმიისა და მექანიზაციის განვითარება — ეს არის ბრძოლა სკკპ პროგრამის, იმ დიდი ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას დაუსახა პარტიის XXII ყრილობამ“.

მერვე ტომში ქვეყნდება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 9 დეკემბერს „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობა“, სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1964 წლის 14 თებერვალს „წარმოების ინტენსიფიკაცია მთავარი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის განვითარებაში“.

ამ უმნიშვნელოვანეს მასალებს კრებულში წინ უძღვის ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „მინერალური სასუქების წარმოების განვითარება სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის“, „ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობის ზოგიერთი საკითხი“, „სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება მარცვლეული კულტურების გარანტირებული მოსავლის მიღებისათვის“, „მინერალური სასუქების ყველაზე ეფექტიანი გამოყენება“, „სრულყოთ საწარმოო სამმართველოთა მეშაობა“.

წიგნში შეტანილი დოკუმენტები ცხადყოფენ, თუ რა თანამიმდევრულად ახორციელებს პარტია სასოფლო-სამეურნეო წარმოების უსწრაფესად განვითარების კურსს.

კრებულში გამოქვეყნებულია ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრები და გამოსვლები ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში მოგზაურობის დროს: „ეფექტიანად გამოვიყენოთ თითოეული ჰექტარი სარწყავი მიწა“. — გამოსვლა საოლქო ორგანიზაციათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, მეურნეობათა ხელმძღვანელებთან და სარწყავი მიწათმოქმედების სპეციალისტებთან შუბყიდრის დროს ვოლგოგრადში 1963 წლის 16 სექტემბერს; „ბრძანება დიდ შესაძლებლობათა კულტურაა“ — საუბარი კრასნოდარის მხარის კრასნოარმეიესკის საბჭოთა მეურნეობაში 1963 წლის 25 სექტემბერს; „შეიქმნათ უხვი გარანტირებული მოსავლის მიღების მტკიცე ბაზა“ — სიტყვა ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ქალაქ კრასნოდარში 1963 წლის 26 სექტემბერს.

მერვე ტომში გამოქვეყნებულია ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე 1964 წლის 28 თებერვალს. „წარმატებით განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ“ — ასე ეწოდება ამ მოხსენებას.

წიგნში შეტანილია მისალმებანი, რომლებითაც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიმართა მოსკოვის ოლქის ელადმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ი. კუხარს, სტავროპოლის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ტემიჟბეკსკის“ დირექტორს ამხანაგ ვ. ნ. კარპოვიჩს, სრულიად საკავშირო გაერთიანება „სასოფლტექნიკის“ ცენტრალური მანქანათსაცდელი სადგურის რგოლის წევრებს ამხანაგებს ვ. ი. კუზნეცოვს, ვ. ნ. კოზლოვს, ი. ი. პარამონოვს; ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ზამანკულის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ბრიგადის წევრებს; კომუნისტური შრომის დამკვრელებს, მშიერი ველის უამრავი მიწების ათვისებლებს.

კრებულში გამოქვეყნებულია ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრები ამერიკელ ფერმერ როსელ ჰარსტთან, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაციასთან, აგრეთვე სხვა მასალები. (საკდესი).

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ნ. ს. ხრუშჩოვის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით

16 აპრილს მოსკოვიდან ვარშავაში გაემგზავრნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგეგმო კომისიის თავმჯდომარე სტეფან ენდრიხოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ადამ რაპაცკი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზენონ ლლიშკო მოსკოვში დარჩნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით. (საკდესი).

მეგობრულ ვიზიტად

16 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვალტერ ულბრიხტი მეუღლითურთ.

ამხანაგი ვ. ულბრიხტი ჩამოვიდა მეგობრულ ვიზიტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

მოსკოვი, 16 აპრილი. (საკდესი). დღეს მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კ. კეკონენი, რათა პირადად მიეულოცოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს დაბადების 70 წლისთავი.

ურყევი მეგობრობის მანიფესტაცია

ვარშავა, 16 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის ყველა გაზეთის პირველ გვერდზე დღეს დაბეჭდილია უზარმაზარი სათაურები: „ჩვენი ძალა ერთობაშია“, „ურყევი მეგობრობის მანიფესტაცია“, „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ძმობის დემონსტრაცია“. პოლონეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი სსრ კავშირში ნომერი პირველი თემაა, რომელმაც დაჩრდილა ყველა სხვა ამბავი. პრესა მთლიანად აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვლადისლავ გომულკას სიტყვებს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის მიტინგზე კრემლის ყრილობათა სასახლეში და იუწყება, რომ ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას. „ტრიბუნა ლუდუ“ სათაურში წერს: „ჩვენი მეგობრობა ძალისა და ენერგიის მძლავრი წყაროა, წინსვლის ძლიერი სტიმულია“.

„ჩვენ ვაშენებთ ახალ სამყაროს“, „მშვიდობიანი თანაარსებობა ყველა ხალხის ისტორიული ამოცანაა“, „თანამშრომლობა სოციალიზმის კანონია“, „ჩვენ გულმოდგინედ ვიბრძოლებთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისა და შეკავშირებისათვის“ — ასეთი სათაურებით ათავსებენ სხვა გაზეთები ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვ. გომულკას სიტყვებს.

მადლიერების გრძნობით

ნ. ს. ხრუშჩოვთან გულთბილი შეხვედრების შემდეგ

დიდი საუბრით შთაგონებულნი

ორი ათეული წელია თავმჯდომარედ ვმუშაობ. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მინახავს და განმიცდია. მაგრამ ჩემს მეხსიერებაში პარუშელი კვალი დატოვა 1961 წლის ერთმა დღემ.

ეს იყო კაჯრეთში. თებერვალი იყო, მაგრამ მზე ძალუმად ანათებდა. „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების კლუბში თავი მოიყარეს კახეთის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა. მათ შორის ვიყავი მეც. ჩვენ ელოდით ძვირფას სტუმარს, მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია. ჩვენთან ჩამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი. შეკრებილნი ტაშის ქუხილით შეხვდნენ სტუმარს. ნიკიტა სერგის-ძე გულთბილად მოგვესალმა.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი კლუბის გვერდით კაბინეტში შევიდა. ნიკიტა სერგის-ძემ მიმიხმო და გულთბილად მესაუბრა. იგი ჩვენი სოფლის მშრომელთა ავ-კარგით, კოლმეურნეობის საქმიანობით დაინტერესდა. შემეკითხა: რამდენი კოლმეურნეა სოფელში, რა სახის პროდუქტებს და რამდენს აწარმოებთ, როგორია შრომის ნაყოფიერება, პროდუქტების თვითღირებულება, შრომის ანაზღაურება კარგი თუ არისო და სხვ.

ძვირფას სტუმარს მოვახსენე, რომ ჯაფარიძის კოლმეურნეობა ერთ-ერთი დიდი სასოფლო-სამეურნეო არტელია რესპუბლიკაში, რომ ჩვენი კოლმეურნეები დიდი რაოდენობით აწარმოებენ მარცვლეულს და მეცხოველეობის პროდუქტებს. ხრუშჩოვი განსაკუთრებით დაინტერესდა „უფხო-1“ ჯიშის ხორბლით. როდესაც გაიგო, რომ ამ ჯიშის ხორბლის ზოგიერთ ნაკვეთზე 35 ცენტნერზე მეტი მოსავალი მივიღეთ, გვირჩია კვლავაც მეტი ყურადღება დაგვეთმო ამ ჯიშის ხორბლის წარმოებისათვის.

ჩვენ აღვუთქვით, რომ მის მითითებას აუცილებლად შევასრულებდით, და ჩვენი პირობიდან არც გადავსულვართ.

ჩვენს კოლმეურნეობას ჰყავს: ორი ათას სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი, 2.300 ღორი, 8.000 ცხვარი, 10.215 ფრთა ფრინველი. ჩვენი სახნავ-სათესი მიწები შირაქი, ტარიბანასა და მილარზეა. კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით, მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვით ყოველწლიურად გზრდით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრიდან სამი წელი გავიდა. ეს სამი წელი ჩვენს კოლმეურნეობაში აღმავლობის წლები იყო. ჩვენ ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებს. ამასთან მშრომელები შრომის ანაზღაურების სახით დიდი როოდენობით იღებენ მარცვლეულსა და სხვა პროდუქტებს, ფულს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს მეორედ შეეხო ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე. აქ ხაზგასმითაც გამოვედი და ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელთა სახელით გადდებული ვალდებულებები ავიღეს პირობაც სასახელოდ გავანაღდეთ.

გასული წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მეც ვმონაწილეობდი. ამ პლენუმზე დიდი ყურადღებით მოვუსმინეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით უკანასკნელ წლებში მიღებული ზომების შესახებ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

1961 წლის 4 თებერვალს კაჯრეთში, კახეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრამ ახალი ენერგია შეგვმატა. გაორკეცებული ძალით დავიწყეთ ჩვენი მეურნეობის ინტენსიური განვითარების საქმე.

1963 წელს სახელმწიფოს მიეყიდეთ 3.014 ცენტნერი ხორცი, 7.106 ცენტნერი რძე, 473 ათასი ცალი კვერცხი, 337 ცენტნერი მატყლი, 3.879 ტონა მარცვლეული, 483 ტონა ყურძენი და სხვ.

გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

ამ დღეებში სწორედ ამ ჩვენს წარმატებათა შესახებ სპეციალური დეპეშით ვაცნობეთ ამხანაგ ხრუშჩოვს და მთელი კოლმეურნეობის სახელით მხურვალედ მივულოცეთ მას დაბადების სახელოვანი 70 წლისთავი.

ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელთა სახელით პირობას ვიძლევით, რომ უფრო მჭიდროდ დავიარაზმებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბრძოლა, ვიბრძოლებთ უფრო მაღალი შრომითი მჯიღნებლებთ უფრო მაღალი შრომითი მჯიღნებლებს, რომ რაც შეიძლება მალე გადავიყვანოთ მეურნეობა ინტენსიფიკაციის რელსებზე.

ჩვენს ამ დაპირებასაც საქმედ ვაქცევთ.

ნ. ყოჩიაშვილი,
სოფლის რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სოფლის პატაკი

ქალაქთელებისათვის მარად დაუვიწყარია 1961 წლის 15 მაისის 12 საათი და შემდეგ ის წუთები, როცა საბჭოთა საქართველოს საპატიო სტუმარმა, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ბაზდ დაჰყო მათ შორია, ჩვენთან, ჩვენს რიგებში. ჩვენ მას შევესაროდით და კრძალვით შეეცქეროდით როგორც სტუმარს, ის კი ხელს გვარომეედა, გვეხვეოდა, გვესაუბრებოდა როგორც ამხანაგი, როგორც დიდი ხნის მეგობარი.

მახარაძიდან ბათუმისაკენ მიმავალნი ჩვენთან რომ შეჩერდნენ, ჩვენმა დიდმა, საპატიო სტუმარმა ამხანაგმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა მრავალი სასარგებლო რჩევა-დარიგება მოგვცა.

გუთია-აჯარის მიჯნაზე, მდინარე ჩოლოქთან ეს დაუვიწყარი სანთოკლე შეხვედრა და საუბარი როგორდაც თვითეული ქალქთელია შინაგანი პროგრამაა გაადა მოშავალი მუშაობისათვის.

— კარგი, სურნელოვანი ჩაია ქართული ჩაი. დიდება და ქება მათ, ვისაც იგი მოჰყავს. ქართული ჩაი საუკეთესოა მსოფლიოში თავისი ხარისხით! — ასე თქვა ნიკიტა სერგის-ძემ ქართველ მეჩაიეებთან შეხვედრისას.

ქვემოთ მოგლედ ვუამბობ მკითხველს, თუ რა კეთილსმყოფელი ძალა იქონია ამ შეფასებამ ჩვენს საკოლმეურნეო სოფელზე, ჩვენს მეჩაიე ადამიანებზე. თვით ყველაზე უხუცესი ქალქთელი, ვინც ახლოს შეხვდა საპატიო სტუმარს, ვისთანაც ერთად ნიკიტა სერგის-ძემ დალია ქართული ყანწით მშვიდობის სადღეგრძელო, — სულეიმან ქარცივაძე თითქოს გაახალგაზრდავებულიყოს, ამ შეხვედრის შემდეგ იგი უფრო ხალისიანად გრძნობს თავს და გულით ატარებს მადლობას ქართველ მეჩაიეთა შრომის ასეთი შექებისათვის.

ამ დაუვიწყარ შეხვედრაზე ნიკიტა სერგის-ძემ შენიშნა ერთ-ერთი ახალგაზრდა კოლმეურნე, კითხა მას გვარი, თუ რაზე მუშაობს. ეს იყო ჯემალ ქარცივაძე. მაშინ იგი კოლმეურნეობის აგრონომ-ქიმიკოსად მუშაობდა. გავიდა დრო. კოლმეურნეებმა ამ ენერგიულ, საქმის მცოდნე ახალგაზრდას მესამე გამსხვილებული ბრიგადა ჩაბარეს. ჯემალ ქარცივაძე საუკეთესოდ უძღვება 122 კაცისაგან შემდგარ ბრიგადას. თუ შარშან ბრიგადას გეგმით უნდა მოეკრიფა 150 ტონა და ფაქტიურად მოკრიფა 170 ტონა მწვანე ჩაი, წელს გეგმით კათვალისწინებული 160 ტონის ნაცვლად ბრიგადას ნაკისრი აქვს 190 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა. ჯემალ ქარცივაძე სრულყოფს თავის ცოდნას — იგი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტია. ქეკვარ მართალიშვილი, ხუროე დუმბაძე, რუქიე ოქროპირიძე, გულიკო მენაღარიშვილი, ბერი კვეხიშვილი, დარიკო მართალიშვილი ბრიგადის შუქურები არიან.

ზემოთმოხსენიებული მეჩაიეები ჩვენი ცნობილი ნოვატორის ემინე ზაქარიაძის მოწინავეთა სკოლის მსმენელები არიან. თვით ემინე პირდაპირ სასწაულს ახდენს ჩაის ფრინველზე. ეს, პირველი ბრიგადის მეორე რგოლის ზეგრმა, შარშან 0,6 ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე, მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 14.200 კილოგრამი, ანუ 2 ჰექტარზე. გადაყვანით 23.660 კილოგრამმ ჩაის მწვანე ფოთოლი. წლევანდელი მისი ვალდებულებაა ამავე ფართობზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარეოს 15 ტონა, ანუ ჰექტარზე გადაყვანით 25 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

— ჩანს, კარგად გიმუშავნია, — თქვა ნიკიტა სერგის-ძემ, როცა ჩვენთან იყო.

ეს შეფასება კოლმეურნეობამ მაშინ დაიმახსოვრა, როდესაც საშუალოდ ჰექტარზე მოგვყავდა 4.340 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1963 წელს ეს ციფრი 5.440-ზე ავიყვანეთ — სახელმწიფოს 490 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მივიციო ნაცვლად გეგმით კათვალისწინებული 425 ტონისა. წელს ჩვენი ვალდებულებაა ბევრად უკან მივიტოვოთ გეგმა — 450 ტონას რომ ითვალისწინებს, და სამშობლოს 510 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მივცეთ.

ამისათვის გაჩაღებულია მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების საფუძველზე მთავარ ყურადღებას ვაქცევთ ნიადაგის დამუშავებას, პლანტაციების მოვლას. საწარმოო სამმართველოს აგროლაბორატორიაში წარდგენილი ნიადაგის სინჯების მიხედვით უკვე დაამუშავეს კოლმეურნეობის აგროქიმიური კარტოგრაფა. სასუქები შეგავქეს გეგმაზომიერად. 150 ტონა სასუქი ჯატანილი გვაქვს. პლანტაციებს ვამუშადებთ მექანიზებული კრეფისათვის. გასხელა დამთავრდა, მიმდინარეობს ბუჩქების გვერდების შესწორება ჩაის საკრეფი მანქანების შესაყვანად.

შეძლებული, კულტურული ხდება ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ცხოვრება. თუ 1961 წელს შრომადღეში, ნატურის გარდა, ფულად გავიცით 2 მანეთი და 20 კაპიკი, 1963 წელს კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 2 მანეთი და 50 კაპიკი. კოლმეურნეობის შემოსავალი 1961 წლის 420.000 მანეთიდან 1963 წელს გაიზარდა 496.000 მანეთამდე. ამან მოგვცა საშუალება ამ ორიასამი წლის მანძილზე აეგებინებინა კაპიტალური მაღაზია, პურის საცხობი, საველე სადილი, აგრომანქანების და ტრაქტორების გარაჟები, საშუალო სკოლის სამსართულიანი კაპიტალური შენობა. შენდება საყოფაცხოვრები მომსახურების კომბინატი, კაპიტალური ბოსელი 140 სული პირუტყვისათვის; სახერხი, სამჭედლო.

შეძლებული ხდება ჩვენი კოლმეურნე გლეხი. მარტო ემინე ზაქარიაძემ შარშან კოლმეურნეობიდან 6.255 მანეთი მიიღო, რომ არაფერი ვთქვათ ოჯახის სხვა წევრების შემოსავალზე. საკოლმეურნეო ქაქუთის 60 კომლი 1961 წლის შემდეგ ახალ სახლებშია შესული. ამჟამად 15-მდე ახალი კაპიტალური სახლი შენდება. კოლმეურნეობა 27 ვალმოხდილ მოხუცებულ კოლმეურნეს პენსიას უხდის. სოფელი რადიო და ელექტროფიცირებულია. 50 მოსახლეს მაღე ტელეფონი ექნება სახლში. 15 მშრომელი კოლმეურნეს ოჯახს საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა აქვს. ცნობილია სიმღერისა და ცეკვის ჩვენი ანსამბლი.

როდესაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეჩაიეთა შრომას ეცნობოდა, ურჩია:

— საჭიროა დაჩქარდეს მუშაობა ჩაის საკრეფი მანქანის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომელმაც უსდა შეამსუბუქოს ჩაის ფოთლის მკრეფავთა ძმიმე შრომა.

ეს რჩევა მერსრულებულია. ჩვენმა ახალმა მანქანებმა გამოიცდა ბრწყინვალედ ჩაბარეს. წელს ჩაის საკრეფი მანქანების — „საქართველოს“ სამოქმედოდ 15 ჰექტარ პლანტაციას ვამზადებთ. 1965 წლისათვის ამ ფართობს 30 ჰექტარამდე ავიყვანთ.

ეს ერეკი ერთგვარი პატაკია, რომლის გამოგზავნება ჩემმა სოფელმა დამავალა ჩვენი ძვირფასი სტუმრის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სახელოვანი 70 წლისთავისათვის.

ჩვენს მომავალ პატაკებშიც მხოლოდ ზრდა, სიხარული და ბედნიერება იქნება აღნუსხული, და ამისათვის მადლიერი ვართ პარტიისა, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისა.

ეს მადლიერება გამოხატულია მისაღოც დეკემბშიც, რომელიც ჩვენმა საკოლმეურნეო სოფელმა გაუგზავნა კრემლში ძვირფას იუბილარს — ნიკიტა სერგის-ძეს.

მ. ბალაძე.
ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

> საქართველოს მშრომელებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოციალისტური საზოგადოების აშენებაში. ჩვენ ვცდილობთ თავდადებით შრომობენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად საბჭოთა საქართველოც კოლოსალური ნაბიჯი გადადგა ისტორიული პროგრესის გზაზე.
>
> **ნ. ს. ხრუშჩოვი.**

ლენინის დროშით

დიდი რევოლუციონერი დემოკრატი ბ. გ. ბელინსკი ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ წერდა, რომ უიდეოდ, უმიზნოდ არ არის ცხოვრება.

დიახ, უდიდესი მიზანდასახული საქმიანობის როლი როგორც ცალეული ადამიანის ცხოვრებაში, ისე განსაკუთრებით მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. ეს კარგად აქვთ შეგნებული საბჭოთა ადამიანებს, ვისი ფიქრი და მისწრაფებაც ის არის, რომ მიაღწიონ ყველაზე აძაღლებულ და კეთილშობილურ მიზანს — აეშენონ კომუნიზმი.

ისტორიული ბედის ნებით საბჭოთა ხალხს პირველს მოუხდა ახალი კომუნისტური ფორმაციისაკენ უცნობი გზის გაკაფვა, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლებმა მხოლოდ თეორიულად იცოდნენ, რომ სოციალიზმმა გარდუვალად უნდა შეცვალოს კაპიტალიზმი. ხოლო როდესაც რუსეთის მშრომელებმა კომუნისტების ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, პირველად წარმოშვა შესაძლებლობა პრაქტიკულად განხორციელებულიყო სოციალისტური იდეალები.

მაშინ ბევრი ყოველგვარი „სოციალისტი“ იყო, რომლებიც ძალლონეს არ იშურებდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელია სოციალიზმის აშენება ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც დიდძალი ნახევრადწეგნიერი და უწიგნური მოსახლეობაა. ისინი ამტკიცებდნენ, რუსეთის მუშებს არა აქვთ „ცივილიზაციის“ საკმარ დონე იმისათვის, რომ სახელმწიფო მართონ და ახალი საზოგადოება შექმნონ. მაგრამ სად უნდა ეშოვნათ სოციალიზმის „დიდად ცივილიზებული“ მშენებლები, სათბურებში ხომ ვერ გამოზრდიდნენ მათ!

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმი უნდა ავაშენოთ იმ ადამიანთაგან, რომლებიც აღზარდა კაპიტალიზმმა, მან გააფუჭა, მაგრამ სამაგიეროდ მანვე გამოაწრთო ბრძოლებში. „სხვა მასალა ჩვენ არ მოგვეპოვება, — აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას-ძე — ჩვენ გვსურს სოციალიზმიც ავაშენოთ დაუყოვნებლივ იმ მასალისაგან, რომელიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა გუშინდლისა და დღისითვის“... (თხზულებათა კრებული, ტ. 29, გვ. 66).

სწორედ იმიტომ, რომ კომუნისტების პარტია, რომელიც ერთგულია ლენინის ანდერძისა, გაბედულად რაზმავდა ხალხის მასებს სიძნელეების დასაძლევად, მოუწოდებდა მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ესწავლათ სოციალისტური მშენებლობის საქმე, ჩვენი ქვეყანა მოკლე ისტორიულ ვადაში გადაიქცა ძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ნებით ჩვენში სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა. მაგრამ, როგორც ლენინი გვასწავლის, პარტია ნათლად უნდა ხედავდეს საბოლოო მიზანს— კომუნისტური საზოგადოების შექმნას, რომლის დროშას აწერია: „თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს მოთხოვნილების მიხედვით“.

ამ მიზნის მიღწევისათვის ჩვენს ხალხს გზას უნათებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამა, რომელიც შეიცავს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების ყოველმხრივ — ფილოსოფიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ დასაბუთებას. წინათ ჩვენ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვქონდა კომუნიზმზე. ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის მეოხებით, რომელსაც საფუძვლად უდევს ლენინის გენიალური დებულებანი, შემოქმედებითად განვითარებული და გამდიდრებული, ჩვენ გაცილებით უფრო კონკრეტული ცოდნა მოგვეცა იმ საზოგადოების შესახებ, რომელშიც მიღწეული იქნება მატერიალურ და სულიერ სიკეთეთა გიგანტური სიუხვე.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში პარტიამ განსაზღვრა სამი ურთიერთდაკავშირებული ძირითადი ამოცანა: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობად გარდაქმნა, ახალი ადამიანის აღზრდა. ეს ამოცანები წყდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში, პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს მრავალფეროვანი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის მსვლელობაში. როცა ვაშენებთ სულ ახალ-ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, ელექტროსადგურებსა და რკინიგზებს, ვკვეთავრებთ მეცნიერებასა და ტექნიკას, ვეუფლებით ბიწის წიაღის სიმდიდრეებს და სამყაროს უსაზღვრო სივრცეებში ვგზავნით კოსმოსურ ხომალდებს, ვიბრძვით შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ამით ჩვენ მტკიცე საძირკველს ვუყრით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

წლითიწლობით სულ უფრო ვითარდება საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკა. უკანასკნელ ათ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა 1953 წელთან შედარებით თითქმის ერთისამად გაიზარდა. სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა ოდენობა ერთიორად და უფრო მეტად აღემატება კაპიტალური მშენებლობის მოცულობას საბჭოთა ხელისუფლების ყველა წინა წლებში. მაგალითად, ელექტროენერგიის გამომუშავება ათწლეულში 134 მილიარდი კილოვატსაათიდან 412 მილიარდამდე გაიზარდა. მარტო 1963 წელს სსრ კავშირის ელექტროსადგურების სიმძლავრეთა მატებამ თითქმის შვიდჯერ გადააჭარბა გოელროს გეგმის ვარაუდებს, რომელიც 10-15 წლათვის იყო გათვალისწინებული!

ამ ათწლეულში დიდი მუშაობა განხორციელდა სოფლის მეურნეობის დარგში. მისი შედეგები ჩანს, კერძოდ, იმით, რომ ამ დროის მანძილზე ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 40 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას, საიდანაც ჩვენმა ქვეყანამ უკვე მიიღო 8 მილიარდ 600 მილიონი ფუთი პური. 1963 წელსაც კი, რომელიც მეტად არასელსაყრელი იყო ყამირი პირობების გამო, დამზადებულია 836 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე ათი წლის წინათ.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. საკმარისია ითქვას, რომ 1964 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მიზნებისათვის გამოიყო 5 მილიარდ 400 მილიონი მანეთი — თითქმის ექვსჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს.

მაგრამ ჩვენს მიერ მოპოვებული სამეურნეო წარმატებანი მხოლოდ პირველი საფეხურია იმ გრანდიოზული ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დასახულია სკკპ პროგრამაში. პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ერთგული ლენინელის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ახალ და ახალ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ და სამეურნეო კადრებს ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის ინტერესებისათვის. ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, რომლებიც ამ ბოლო წლებში გაიმართა, მთელი ხიღრმით განიხილეს სახალხო-სამეურნეო პრობლემები. განხორციელდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის, დაგეგმვის გაუმჯობესების, ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დიდი ღონისძიებანი. ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1963 წ.) და თებერვლის (1964 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მუშაკის მოკმედების საბრძოლო პრაქტიკული პროგრამაა.

ყველაზეარი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის — აი პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობას. ამას, კერძოდ, მოწმობს ჩვენს ქვეყანაში სახიანო მშენებლობის გიგანტური გაკანდა. ამ ბოლო ათი წლის მანძილზე ახალი ბინები მიიღო და სახიანო პირობები გაიუმჯობესა 108 მილიონმა კაცმა — სსრ კავშირის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლა განუხრელად დაკავშირებულია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მთელი ზედაშენის განვითარებასა და სრულყოფასთან. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა პარტიის ღონისძიებებმა სტალინის პიროვნების კულტის შედეგების აღმოსაფხვრელად, პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღდგენამ, სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებამ და საბჭოთა ადამიანების საზოგადებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებამ. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ დასახა ამოცანა, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმეთა მართვაში. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა იმისათვის, რომ თანდათანობით გარდაქმნილნი სოციალისტური საზოგადებრივი ურთიერთობა კომუნისტურ ურთიერთობად.

ამ პრობლემის გადაჭრა ორგანულად დაკავშირებულია ფართო და ყოველსმომცველ მუშაობასთან მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში, და განსაკუთრებით ამ ბოლო ათწლეულში, მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მასების იდეურ-პოლიტიკური და საერთო-კულტურული დონის ამაღლებაში. ახლა ჩვენ გვყავს სპეციალისტთა, გამოცდილ ხელმძღვანელთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი კადრები. სსრ კავშირის მოუშვიე მოსახლეობის 50 პროცენტს ახლა საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს.

პიროვნების კომუნისტური აღზრდის, ყოველმხრივი განვითარების საფუძველს შეადგენს შემოქმედებითი შრომა. კომუნისტურ აღზრდას, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, აძვს უზარმაზარი ამოცანა — თვითეულს განუმტკიცოს ირწმენა, რომ არ შეიძლება ადამიანმა იცხოვროს, თუ არ ირომ. თუ არ შექმნა ცხოვრების საშუალებანი. ყოველივე კარგს, რასაც საბჭოთა ადამიანი აკეთებს, აკეთებს თავისთვის და მთელი საზოგადოებისათვის“.

აქტიური შრომითი საქმიანობა საზოგადოების საკეთილდღეოდ, მარქსისტულ-ლენინური, მეცნიერული მსოფლმხედველობა, კომუნისტური ქცევა წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში — აი თვისებანი, რომლებსაც პარტია უნერგავს საბჭოთა ადამიანს, განსაკუთრებით ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას. კომუნიზმი გულისხმობს არა მარტო მატერიალური წარმოების მაღალ დონეს, არამედ ყოველმხრივ განვითარებულ სულიერად მდიდარ ადამიანს, შემოქმედ ადამიანს.

ჩვენ ვადგავართ სწორ, ლენინურ გზას, და ეს არის მტკიცე საწინდარი იმისა, რომ მივაღწევთ დასახულ მიზანს.

როგორც უნდა დვარძლიანობდნენ ჩვენი მტრები, როგორც უნდა გვიწინასწარმეტყველებდნენ წარუმატებლობებს, ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ მტკიცე და ურყევია. იგი განპირობებულია სოციალიზმის წარმატებებით არა მარტო სსრ კავშირში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. ახლა სოციალიზმის დროშით შეკავშირებული არიან მრავალი ქვეყნის ხალხები. სოციალიზმის ძალები უკვე აღემატებიან დრომომზული კაპიტალისტური სისტემის ძალებს.

ამისათვის გაჩაღებულია მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების საფუძველზე მთავარ ყურადღებას ვაქცევთ ნიადაგის დამუშავებას, პლანტაციების მოვლას. საწარმოო სამმართველოს აგროლაბორატორიაში წარდგენილი ნიადაგის სინჯების მიხედვით უკვე დაამუშავეს კოლმეურნეობის აგროქიმიური კარტოგრაფა. სასუქები შეგავქეს გეგმაზომიერად. 150 ტონა სასუქი ჯატანილი გვაქვს. პლანტაციებს ვამზადებთ მექანიზებული კრეფისათვის. გასხელა დამთავრდა, მიმდინარეობს ბუჩქების გვერდების შესწორება ჩაის საკრეფი მანქანების შესაყვანად.

შეძლებული, კულტურული ხდება ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ცხოვრება. თუ 1961 წელს შრომადღეში, ნატურის გარდა, ფულად გავიცით 2 მანეთი და 20 კაპიკი, 1963 წელს კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 2 მანეთი და 50 კაპიკი. კოლმეურნეობის შემოსავალი 1961 წლის 420.000 მანეთიდან 1963 წელს გაიზარდა 496.000 მანეთამდე. ამან მოგვცა საშუალება ამ ორიასამი წლის მანძილზე აეგებინებინა კაპიტალური მაღაზია, პურის საცხობი, საველე სადილი, აგრომანქანების და ტრაქტორების გარაჟები, საშუალო სკოლის სამსართულიანი კაპიტალური შენობა. შენდება საყოფაცხოვრები მომსახურების კომბინატი, კაპიტალური ბოსელი 140 სული პირუტყვისათვის; სახერხი, სამჭედლო.

შეძლებული ხდება ჩვენი კოლმეურნე გლეხი. მარტო ემინე ზაქარიაძემ შარშან კოლმეურნეობიდან 6.255 მანეთი მიიღო, რომ არაფერი ვთქვათ ოჯახის სხვა წევრების შემოსავალზე. საკოლმეურნეო ქაქუთის 60 კომლი 1961 წლის შემდეგ ახალ სახლებშია შესული. ამჟამად 15-მდე ახალი კაპიტალური სახლი შენდება. კოლმეურნეობა 27 ვალმოხდილ მოხუცებულ კოლმეურნეს პენსიას უხდის. სოფელი რადიო და ელექტროფიცირებულია. 50 მოსახლეს მაღე ტელეფონი ექნება სახლში. 15 მშრომელი კოლმეურნეს ოჯახს საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა აქვს. ცნობილია სიმღერისა და ცეკვის ჩვენი ანსამბლი.

როდესაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეჩაიეთა შრომას ეცნობოდა, ურჩია:

— საჭიროა დაჩქარდეს მუშაობა ჩაის საკრეფი მანქანის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომელმაც უსდა შეამსუბუქოს ჩაის ფოთლის მკრეფავთა ძმიმე შრომა.

ეს რჩევა მერსრულებულია. ჩვენმა ახალმა მანქანებმა გამოიცდა ბრწყინვალედ ჩაბარეს. წელს ჩაის საკრეფი მანქანების — „საქართველოს“ სამოქმედოდ 15 ჰექტარ პლანტაციას ვამზადებთ. 1965 წლისათვის ამ ფართობს 30 ჰექტარამდე ავიყვანთ.

ეს ერეკი ერთგვარი პატაკია, რომლის გამოგზავნება ჩემმა სოფელმა დამავალა ჩვენი ძვირფასი სტუმრის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სახელოვანი 70 წლისთავისათვის.

ჩვენს მომავალ პატაკებშიც მხოლოდ ზრდა, სიხარული და ბედნიერება იქნება აღნუსხული, და ამისათვის მადლიერი ვართ პარტიისა, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისა.

ეს მადლიერება გამოხატულია მისაღოც დეკემბშიც, რომელიც ჩვენმა საკოლმეურნეო სოფელმა გაუგზავნა კრემლში ძვირფას იუბილარს — ნიკიტა სერგის-ძეს.

მ. ბალაძე.
ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლენინის დროშით

აქტიურად დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები წარმოებაში

დღეიმში მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს გაფართოებული სხდომა. სხდომამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის შ. ი. ბანუყვაძის თავმჯდომარეობით განიხილა საკითხი — რესპუბლიკის სასწავლო და სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების მუშაობა წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ამ საკითხზე ინფორმაციები წაიკითხეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა ი. სარიშვილმა, საქართველოს სასწავლო-სამეცნიერო ზოოვეტერინალური ინსტიტუ

საერთაშორისო
ლენინური ცხოვრება
ცხოვრება

საბჭოთა კავშირი მშვიდობის გზაჯვარედინზე

ალჟირის გეგი—სოციალიზმი

ბრაზილია გოგოქროგს

ეკვადორის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

მონტევიდეო, 16 აპრილი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ეკვადორის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქვამს აზრს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოიწვიონ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ეკვადორის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა განიხილონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცების საკითხები.

იმოწმებს რა ეკვადორის კომუნისტების ბრძოლის მრავალ მაგალითს და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილებას, ეკვადორის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სწორია და საჭიროებრივია კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტები, გმობს ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა პოზიციას, რომლის მიზანია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გათიშვა და რომელიც შიანს აყენებს ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის.

ეკვადორის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის 31 მარტის სხდომაზე თავისი რიგებიდან გარიცხა ფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელები რაფაელ ეჩეგერია და კარლოს როდრიგესი, რომლებიც მუდამ საბოტაჟს უწევდნენ პარტიის გადაწყვეტილებებს.

ორი მოძმე ხალხის დღესასწაული

ბუდაპეშტი, 16 აპრილი. (საკდესი). დღეს სრულდება უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ძეგობრების, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 15 წლისთავი. ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ორი მოძმე ხალხის ცხოვრებაში უნგრეთის ცენტრალური გაზეთები უძღვნიან მოწიაცე და საოდაკეო სტატიებს.

იმას, თუ როგორ ვითარდებოდა ჩვენი ურთიერთობა ამ 15 წლის განმავლობაში, წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „ნეფსაბადშაგი", ყველაზე კარგად ფაქტები მოწმობენ. უნგრეთის ჩეხოსლოვაკიასთან აქვს ყველაზე დიდი საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირის შემდეგ. 1949 წლიდან დაიდო შეთანხმებანი, რომლებითაც შეთანხმებულია ორი ქვეყნის საბალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარება. წლითიწლობით ვითარდება და თავისი შედეგი მოაქვს მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ თანამშრომლობას, ავრცელებ ურთიერთდახმარებას მრეწველობის ახალი დარგების განვითარებაში.

ჩვენი საზოგადოებრივი, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის მტკიცე საფუძველი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ის არის, რომ ორივე ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი ძალაა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, რომ ჩვენი პარტიები მტკიცედ და ერთგულად იცავენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთობას, საბჭოთა კავშირთან ურღვევ მეგობრობას.

საგერძნეთის მთავრობის პროტესტი

ათენი, 14 აპრილი. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა, რომ დღეს საბერძნეთის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განუცხადა თურქეთის ძთავრობას იმასთან დაკავშირებით, რომ დეენიან თურქეთში მცხოვრებ ბერძნებს. საბერძნეთის მთავრობამ მითითება გაუგზავნა ადრეფვე გაერთიანებული ეროების ორგანიზაციის ყველ ქვეყნებში აკრედიტებულ საბერძნეთის ელჩებს, რომ ამ ქვეყნების მთავრობათა ყურადღება მიაქციონ გართულების საძაშროებას, რაც შეიძლება გამოიწვიოს თურქეთის პოზიციამ ამ საკითხში.

ცდილობენ ხელი შეუშალონ კუბასთან ვაჭრობას

ვაშინგტონი, 16 აპრილი. (საკდესი). საბელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში რობერტ მაკლოსკიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები აკრძალავენ მოტორების მიწოდებას ერთი ინგლისური ფირმისათვის, რომელიც, როგორც პრესა იუწყება, აპირებს ფოლადის ამწეები მიჰყიდოს კუბას. დიზელიან მოტორებს ამ ამწეებისათვის აწარმოებს ამერიკის კომპანია.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

პარიზი, 16 აპრილი. (საკდესი). გუშინ ელისეს სასახლეში გაიმართა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა.

პრემიერ-მინისტრმა ჟ. პომპიდუმ, რომელიც ეს-ეს არის დაბრუნდა იაპონიიდან, სადაც იმყოფებოდა ოფიციალურ ვიზიტად, გააკეთა საანგარიშო მოხსენება მოგზაურობის შედეგების შესახებ.

მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ინფორმაციის მინისტრმა ა. პეირეფიტმა განაცხადა: თავის „ფრიად მნიშვნელოვან" საანგარიშო მოხსენებაში ჟ. პომპიდუ შეეხო, კერძოდ, საფრანგეთ-იაპონიის ურთიერთობას. საფრანგეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცნობა „არ მოასწავებს იმას, რომ უთუოდ ვიწოლებდეთ ან მბარს ვუშერდეთ მის საშინაო ან საგარეო პოლიტიკას".

აღინიშნა, რომ საფრანგეთსა და იაპონიას სხვადასხვა ეხებოდეს აქვთ შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემებზე.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, 16 აპრილი. (საკდესი). აგერპრესის საგენტო გვატყობინებს:

გუშინ აქ გაიხსნა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. დღის წესრიგშია ანგარიში: რუმინეთის მუშათა პარტიის დელეგაციის მოლაპარაკება ჩინეთის კომუნისტური პარტიის, კორეის შრომის პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობის საკითხზე.

გაიხსნა ცეილონის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა

კოლომბო, 16 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ცეილონის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 300-ზე მეტი დელეგატი — ცეილონის პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელი. ყრილობა განიხილავს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემებს, სხვა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებთან ურთიერთობას, ცეილონის კომუნისტური პარტიის მდგომარეობასა და მის ამოცანებს მომავლისათვის. ყრილობაზე ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია. რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ა. მ. რუმიანცევი.

საბჭოთა კავშირ-ინგლისის მრავალმხრივ ურთიერთობა ვაჭრობის საკითხებზე

ლონდონი, 16 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციასა, რომელსაც სავაჭრო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი მეთაურობს, და დიდი ბრიტანეთის დელეგაციას შორის, რომელსაც მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ედვარდ პატი მეთაურობს. იმის შესახებ, რომ განაახლონ ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმება სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის.

საღამოს სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა დიდ ბრიტანეთში ვ. ი. როდნოვმა ნ. ს. პატოლიჩევის პატივსაცემად გამართა სადილი, რომელზეც იყვნენ ინგლისს მთავრობის წევრები, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები. დიდი ბრიტანეთის მსხვილი სამრეწველო კომპანიებისა და ბანკების ხელმძღვანელები.

მდგომარეობა ბრაზილიაში



ვაშინგტონელი „მეხანძრე" ცეცხლმოდებული ბრაზილიის კარებთან.
ნახ. ვოლფგანგ შუბერტისა (გდრ).

ჰავანა, 15 აპრილი. (საკდესი). მდგომარეობა ბრაზილიაში კვლავ დაძაბულია. როგორც პრესსა ლატინას საგენტო იუწყება, რიო-დე-ჟანეიროს შტატში ერთმანეთს სროლა აუტეხეს დამხობილი პრეზიდენტის ყოფა გულარტის მომხრეებმა და პოლიციამ, რომელიც ცდილობდა დაეპატიმრებინა ყოფა გულარტის მომხრეები. გრძელდება თავდასხმე ბი სხვადასხვა ორგანიზაციათა შენობებზე და მოქალაქეთა სახლებზე. პრესის ცნობებით, ძარტო გუანაბარის შტატში დაპატიმრეს ხუთი ათასზე მეტი კაცი, რომლებსაც ბრალად სდებენ „კომუნისტურ საქმიანობას".

ჰავანა, 15 აპრილი. (საკდესი). ბრაზილიის დროებითმა პრეზიდენტმა მარშალმა უმბერტო კასტელო ბრანკომ გაზეთ „ეორნალისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გულარტის დასამხობად მზადება დაიწყო, როგორც კი გულარტმა პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, იუწყება პრესსა ლატინას საგენტო. „ჩემი გადწყვეტილება, თქვა ბრანკომ, არც შემთხვევითი იყო, არც მომხდარი მოვლენების დროს მიმღია. ეს გადაწყვეტილება ჩემი რწმენის შედეგია".

პარიზი, 16 აპრილი. (საკდესი). ბრაზილიის ახალმა პრეზიდენტმა მარშალმა უმბერტო კასტელო ბრანკომ, რომელმაც გუშინ დაიკავა თავისი თანამდებობა, შეადგინა მთავრობა. როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ქალაქ ბრაზილიიდან იუწყება, ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შეიდა ცამეტი მინისტრი; მათგან ექვსი, კერძოდ სამივე გვარეობის ჯარების მინისტრები, დანიშნა დროებითმა პრეზიდენტმა რანიერი მაძილიმ.

საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ვასკო ლეტაო და კუნია.

პარიზი, 16 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ქალაქ ბრაზილიიდან გვატყობინებენ:

მარშალმა უმბერტო დე ალენკარ კასტელო ბრანკომ, რომელმაც გუშინ დაიკავა ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტი, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მისი მთავრობა დაიცავს ბრაზილიის სუვერენიტეტს, პატივს სცემს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს და განამტკიცებს ტრადიციულ ურთიერთობას.

„ჩვენ ყველა იმ ქვეყნის მეგობრები ვიქნებით, რომელსაც აქვთ დემოკრატიული რეჟიმები, და პატივს ცემთ მსოფლიოს სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობას. მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ანალოგიურად პატივი სცენ ჩვენს საკუთარ დამოუკიდებლობას და ყოველნაირად ხელს შეეშალოთ ჩარევას ჩვენს საშინაო საქმეებში", — თქვა ბრანკომ.

თვისებები და ნიშნები

ერთხელ მთელმა რიგმა დასავლეთელმა ეურნალისტებმა გადაწყვიტეს შეედგინათ „მსოფლიო მთავრობა" ყველა ქვეყნის წამყვან სახელმწიფო მოღვაწეთაგან, ამასთან კრიტერიუმად აეღოთ მათი პოპულარობა. ამ არჩევულებრივი მთავრობის ჩამოყალიბება ხდებოდა ფარული კენჭისყრით. ზუსტად არ მახსოვს, ვის რა პორტფელი შეხვდა. მაგრამ მთავრობის მეთაურის პოსტი ხმების უდიდესი უმრავლესობით ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა მიიღო.

ეს ამბავი თავისთავად ფრიად საგულისხმოა. საგულისხმოა იგი იმ ურთიერთობის დასახასიათებლადაც, რომელიც შეიქმნა საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და „მეექვსე სახელმწიფოს" — ეურნალისტიკის წარმომადგენლებს შორის. მე ბევრჯერ მომიხდა ვხლებოდი ნ. ს. ხრუშჩოვს საზღვარგარეთ გამგზავრების დროს, დავსწრებოდი მის პრეს-კონფერენციებს, მომესმინა მის შესახებ ჩემი კოლეგა გაზეთის მუშაკების ნაამბობი.

ნ. ს. ხრუშჩოვი ეურნალისტებს თავის „თანამგზავრებს" უწოდებს. და უნდა ითქვას, რომ თვითეული ეურნალისტის სანუკვარი ოცნებაა მისი თანამგზავრი იყოს. იგი პატივს სცემს ჩვენს შრომას, ესმის იგი, იცის როგორ მოქცევა პრესას. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი სახეზე და სახელით იცნობს მსოფლიოს წამყვანი გაზეთებისა და დეპეშათა ააგენტოების თითქმის ყველა წარმომადგენელს, რომლებიც მოსკოვში არიან აკრედიტებულნი.

ეურნალისტის მუშაობა რთულია და ხშირად დამოკიდებულია თითქოს წვრილმან, მაგრამ მაინც ობიექტურ დეტალებზე. 1960 წელს, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაური ინდოეთს ესტუმრა, ასეთი ეპიზოდი მოხდა. ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს. მოლაპარაკების შემდეგ მასპინძელი და სტუმრები აივანზე გავიდნენ. აქ მათ გარს შემოეხვივნენ ფოტოკორესპონდენტები. არ ბაძოსგს რატომ, მაგრამ ვითარება რამდენწამიანი სტატიკური შეიქმნა, და ფოტოკორესპონდენტებმა არ იცოდნენ რა ექნათ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ეს შენიშნა.

— ამხანაგნო გრომიკომ რაღე გასაგებიარულებელი უნდა თქვას, რომ ფოტოსურათები ეფრო ცოცხალი გამოვიდეს, — ისუბრა მან.

ა. ა. გრომიკომ სახის სერიოზული გამომეტყველების შეუცვლელად უპასუხა.

— ეს სერიოზული საკითხია. მას წინასწარ უნდოდა ოფიციერება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის სახის გამომეტყველებისა და სიტყვების კონტრასტმა საეჭვო ეფექტი მოახდინა. ყველამ გაიცინა. ფოტოკორესპონდენტები კმაყოფილნი დარჩნენ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს რომ ვასლდი, უყურადღება მიეკაკვი ასეთ გარემოებას: მას ესმის ჩვენი მუშაობის არსი და მნიშვნელობა, ყამოგვეყველება, რაც ეს საჭიროა. მაგრამ ამავე დროს ფრიად მახვილია მისი ირეალიტეა, რაც „ექვსე სახელმწიფოს" წარმომადგენლები საზღვარს გასცდებიან. ამით თავს იჩენს ისეთი დიდი წეროერება. ინდოეთიაში ვიზიტის დროს ნ. ს. ხრუშჩოვი ქალაქ ჯოკიკარტას ესტუმრა. კუსტარულ ნაკეთობათა გამოფენაზე მისი ეურადღება ოქრომჭედლებმა მიიპყრეს. იგი დიდხანს უყურებდა მათს გაკეთებას. ბოლოს ეს ოქროსფერი ფირფიტა, ეს ბეჭედი, ეს ბეჭედ-ბეჭედ ბალიშებიანი ბალიში

ეროვნული საუნჯე

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის გამო



ადამთავრდა დიდი ქართველი პოეტისა და მოღვაწის—აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა. მკითხველებმა უკვე მიიღეს ამ გამოცემის უკანასკნელი, მე-15 ტომი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ამ გამოცემით უადრესად დიდი საქმე გააკეთა. უკვე სინამდვილედ იქცა უკვდავი პოეტის სანუკვარი ოცნება—სრულად მიეღო მკითხველს მისი ნაწერები. „ქართული მწერლობა,—სინანულით წერდა აკაკი თავის თხზულებათა კრებულის 1912 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, — ვერ დგას კარგ სიმაღლეზე, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება კი ჩემს ნაწერებს ეწია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა“.

აკაკი, ცხადია, გამონაკლისი არ ყოფილა. კიდევ უფრო მძიმე სურათი იყო სხვა კლასიკოსთა ნაწერების გამოცემის საქმეში, რომლის რეალური მოგვარება მოხერხდა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში, როცა ლიტერატურის კლასიკოსთა მემკვიდრეობის ხალხისათვის მიწოდება გაშლილი კულტურული მშენებლობის პირველხარისხოვან ამოცანად იქცა.

აკაკი იმ ბედნიერ პოეტთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც სიცოცხლეშივე განიცადეს მშობლიური ხალხის უსაზღვრო სიყვარული, მან საქართველოს ბულბულის სახელი დასაკუთრა ჯერ კიდევ შემოქმედებითი გაფურჩქნის პერიოდში.

აკაკი წერეთლის მდიდარ მემკვიდრეობაში აისახა ქართველი ხალხის ბრძოლა და იმედები, მისი გაუტეხელი ნებისყოფა და სულიერი სილამაზე. ამიტომ არის, რომ ეს თხუთმეტი ტომი ყოველ ჩვენგანში კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს.

არა მხოლოდ მდიდარი შინაარსი და მაღალი მხატვრული ღირებულება, არამედ ჭარბეიოზული მოცულობაც თავისთავად ეტყველებს აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის უდიდეს მნიშვნელობაზე ქართველი ერის სულიერი კულტურის განვითარებაში.

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ მეტად შრომატევადი მუშაობა გასწია. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდეს ამ გამოცემას მთავარმა რედაქტორმა პროფესორმა გ. აბზიანიძემ (რომლის შენიშვნებითა და კომენტარებით არის გამოსული I-IV, VII-VIII და XI-XV ტომები) და პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა (მისი შენიშვნებითა და კომენტარებით დაიბეჭდა V-VI და IX-X ტომები). საგანგებო აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორების ს. ყუბანეიშვილისა და ა. კენჭოშვილის მიერ შესრულებული ტექსტოლოგიური ხასიათის ძიებანი.

მკვლევარებმა პირველ ყოვლისა შეისწავლეს აკაკი წერეთლის ავტოგრაფები, ყველა ნუსხა, მისი ყოველი სტრიქონი, არა მარტო საქართველოს სიძველეთა საცავებში დაცული, არამედ მოსკოვ-ლენინგრადის, მოძმე რესპუბლიკათა არქივებსა და მუზეუმებში გამოვლენილი. ამავე მიზნით შესწავლილ იქნა ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე მწერლის ცალკეული გამოცემები. ამ წესით დაგროვილი დიდძალი მასალა შედარდა დედნებს, ვარიანტებს, ნაბეჭდ გამოცემებს და დადგინდა კანონიერი ტექსტი.

ბუნებრივია, ამ გამოცემაში მოხვდა აკაკის არა ერთი და ორი მხატვრული ნაწერი და პუბლიცისტური სტატია, რომლებმაც წინა გამოცემებში ადგილი ვერ პპოვეს. იგივე ითქმის აგრეთვე აკაკის რუსულ ენაზე დაწერილი თხზულებების აბსოლუტურ უმრავლესობაზე და პოეტის პირად ბარათებზე, რომლებიც დიდ მწერალს გაუგზავნია ნათესავ-მეგობრებისათვის. მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის.

აკაკის თხზულებათა ახალ გამოცემაში მოთავსებული ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები გვაწვდიან მოკლე, მაგრამ ღრაკალ ძვირფას ცნობას ტექსტში მოხსენიებულ პიროვნებებზე, ნაკლებად შესწავლილ ქართველ მოღვაწეთა, ე. წ. „დავწყებულთა და გამორჩენილთა“ შესახებ, აგრეთვე იმ საზოგადოებრივ მოვლენათა გარშემო, რომლებიც აკაკის სახელთან არის დაკავშირებული.

ადრეულ გამოცემებში იყო შემთხვევები აკაკის თხზულებებში შეცდომით სხვათა ნაწერების დაბეჭდვისა, ადგილი ჰქონდა აგრეთვე ერთი და იგივე ლექსის გამეორებას სხვადასხვა სათაურით, და სხვ. ამ მხრივ აკადემიური გამოცემის რედაქტორი განსაკუთრებული სიფრთხილით მოჰკიდებია ყოველ მასალას. რა თქმა უნდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გამოცემაში, სადაც უაღრესად დიდი მასალაა თავმოყრილი და ახსნაგანმარტებული, არავითარი ნაკლი და ხარვეზი არ არის. თვით პუშკინის თხზულებათა გამოცემებიც, რომლებსაც ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ და რომლებზეც არა ერთი და ორი გამოჩენილი მეცნიერი მუშაობდა, იწვევენ შენიშვნების საჭიროებას როგორც ფაქტოლოგიური, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენს მიზანს არ შეადგენს დღეს ცალკეულ დეტალებზე შეჩერება, არამედ გვსურს ხაზი გავუსვათ ამ გამოცემის საერთო ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობას.

სერიოზული დამახინჯებები იყო აკაკის თხზულებათა ძველ გამოცემებში მეფის ცენზურის პირობების გამო. წინა გამოცემებში პოეტმა ალ. აბაშელმა და მკვლევარმა პ. ინგოროყვამ ბევრი რამ გამოასწორეს ამ მხრივ. ცენზურის მიერ დამახინჯებული ადგილების აღდგენისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია აკადემიური გამოცემის რედაქციასაც.

აკაკი ცენზურას ხშირად უბამდა თვალს, ზოგ თავის ნაწარმოებს თარგმნილად აცხადებდა, ზოგს ხალხურად და ზოგს ძველი დროის ლეგენდად. ეზოპეს ენას რომ ხშირად მიმართავდა, ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია.



მეფის ცენზურა დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს აკაკის ლიტერატურულ მოღვაწეობას, ფხიზლობდა იმ მხრივაც, რომ ერთხელ აკრძალული ნაწარმოები ავტორს ხელახლა არ შეეპარებინა, რასაც პოეტი ზოგჯერ კიდევაც ახერხებდა. მაგალითად, 1890 წელს ცენზურას ბოლო ოთხი სტროფი შეუკვეცია აკაკის შესანიშნავი ლექსისათვის „სალამური“. ცენზურის მიერ ამოღებულ სტროფებში ჩაქსოვილია ლექსის სწორედ მთავარი დასკვნითი აზრი. აი ეს შეკვეცილი სტროფებიც:

ეს უნდა იყოს ის მაცდური ხმა,
პირველ მწყემსისგან მოგონებული;
აქ ისმის ცის და ქვეყნის ამბავი
ერთად შეთხზული... შეზავებული!

ლექსის ავტოგრაფი არ დარჩენილა. ხანდედნიეროდ აკაკის აკრძალული სტროფონები შეუპარებია 1908 წელს გამოცემულ ერთ-ერთ ნაბეჭდ კრებულში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ნაბეჭდი გამორჩენია აკაკის თხზულებათა ყველა გამომცემელს და აკრძალული სტროფონები მხოლოდ აკადემიური გამოცემის რედაქციას აღუდგენია (ტ. 2, გვ. 499). ჩვენ არ შევჩერდებით ამ გამოცემაში პირველად მოხვედრილ თხზულებებზე ან პოეტის ავტოგრაფების სრული სიხუჭრით აღდგენის ფაქტებზე. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ აკაკის ხელი ძნელი გასარჩევია. 1887 წლის იანვარში დაწერილ კერძო ბარათში აკაკი ახსენებს თავის ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომელიც სპეციალისტების მიერ ერთ დროს ამოკითხულ იქნა როგორც „ისინი“. არსებითად ამ ნაწარმოების სათაურია, როგორც აკადემიური გამოცემით ირკვევა, „ლხინი“. აკაკის ხელნაწერი ამ შემთხვევაში იმდენად რთული ამოსაკითხი ყოფილა, რომ ზემოაღნიშნული არასწორი წაკითხვის კატეგორიულად უარყოფა ადვილი არ იქნებოდა, რომ დამატებითი და აუცილებელი ფაქტობრივი მასალები მხარს არ უჭერდეს აკადემიური გამოცემის რედაქტორის მოსაზრებას, ტექსტის მისეულ წაკითხვას (ტ. მე-15, გვ. 127-128).

თხუთმეტტომეულის ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარები მხოლოდ ქართული სინამდვილით არ განისაზღვრება. მკითხველისათვის მხსაწვდომი ხდებიან აკაკის მრავალ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებსა თუ კერძო წერილში მოხსენებული უცხო პიროვნებანი, სხვა ქვეყნებთან, თუ საერთაშორისო მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტები, რომელთაგან მაგალითისათვის დავახასიათებთ ერთს. ცნობილი იყო 1882 წელს დაწერილი აკაკის ლექსი „არაბი ფაშა“. ავტორი თავის დროზე ფრთხილობდა და ლექსის ნამდვილ ადრესატს აშკარად არ ასახელებდა. მწერლის თხზულებათა წინა გამოცემებში ტექსტი კომენტარებული არ იყო, ამიტომ აღნიშნული ლექსისა და აკაკის მრავალი სხვა თხზულების ნამდვილი აზრი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა არსებობად გაუგებარი რჩებოდა. კერძოდ, როგორც აკადემიური გამოცემის კომენტარებით ირკვევა, ლექსით „არაბი ფაშა“ აკაკი წერეთელი, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ,მოღვაწე და პოეტური მესეტყვე, ეხმაურება ეგვიპტის დაჩაგრული ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას და მის ბელადს ახმედ ბეის (1839-1911), რომელმაც სცადა მილიტარისტული ინგლისის მონობის უღლის გადაგდება.

ახალ მრავალტომიან გამოცემაში დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე წარმოგვიდგება მთელი თავისი სიდიადით, შემოქმედებითი სირთულით, გარდაუვალი ისტორიული მნიშვნელობით. გამოცემაში ასახულია აგრეთვე მწერლის სტილი, წერის თავისებურებანი, ენის განვითარება.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ დიდი ქართველი კლასიკოსის მდიდარი მხატვრული ლიტერატურული [illegible] გამოცემულია ვარიანტების სრული [illegible]ნებით. ყოველი სიტყვა, ეროვნული მხატვრული გამოთქმა, ყოველი ფორმა, რომელიც ძირითადად ტექსტში არ მოხვდა, გადმოცემულია ვარიანტებში. რომლებიც ალრიცხულია უაღრესად კომპაქტურად (წინაათმდეგ შემთხვევაში ეს გამოცემა რამდენ-მე ტომით გაიზრდებოდა).

აკაკის წინა თხზულებათა გამოცემაში არ მოხვდა არც აკაკის მრავალრიცხოვანი პირადი წერილები და არც მის მიერ რუსულად დაწერილი თხზულებანი. აკაკის აკადემიურ გამოცემაში ორივე ეს დიდი ხარვეზი შევსებულია. ორივე ეს ნაწილი ტექსტოლოგიის თანამედროვე მოთხოვნილებების სიმაღლეზეა აყვანილი და წარმოადგენს ბრწყინვალე მასალას არა მხოლოდ აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და ბიოგრაფიისათვის, არამედ საერთოდ ახალი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლისათვის.

აკაკი წერეთლის თხზულებების აკადემიური გამოცემა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების საუკეთესო დოკუმენტია. შრომა, საქმის ცოდნა და სიყვარული, რომელიც ამ გამოცემაში ჩაუქსოვია სარედაქციო კოლეგიას და რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მთელ კოლექტივს, მაღალი შეფასების ღირსია.

ამიტომ მკითხველმა დიდი მადლიერების გრძნობით მიიღო ეს გამოცემა, რომელიც დაამშვენებს ყოველი ოჯახის წიგნის თაროს.

დ. გამეზარდაშვილი,
პროფესორი.

დიდი სომეხი მოაზროვნე

ერევანი, 14 აპრილი. (საკდესის კორ.). სომხეთის საზოგადოებრიობამ აღნიშნა დიდი სომეხი მეცნიერის, კანონმდებლისა და მგავთმწერლის მხითარ გოშის გარდაცვალების 750 წლისთავი.

გამოჩენილი მოაზროვნე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XII-XIII საუკუნეებში. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი „სამართლის წიგნი“, რომელიც 800 წელზე მეტ ხანს იყო ძალაში. „სამართლის წიგნი“ ითარგმნა არა ერთ ენაზე. ამ წიგნით ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა ქვეყნის იურისტები იურიდიული კანონების კრებულის შედგენისას. ჩვენამდე მოაღწია 200-მდე იგავ-არაკმა, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და სომხური ლიტერატურის ბრწყინვალე ფურცელს შეადგენენ.

სახალხო სელექციონერი 128 წლისაა

ტაჯიკეთის ყველაზე მოხუც მცხოვრებს საიდოლიდ საიდმირზოევს 128 წელი შეუსრულდა. იგი ცხოვრობს პამირზე, კოლმეურნეობა „ვათანში“. საიდმირზოევი კარგად არის ცნობილი პამირზე როგორც საზეინკლო და სამჭედლო საქმის ნიჭიერი ოსტატი. მაგრამ ყველაზე მეტად მან სახელი გითქვა როგორც სახალხო სელექციონერმა. გულმოდგინე შერჩევის გზით კოლმეურნემ მთების მკაცრ პირობებში შეიმუშავა საგაზაფხულო ხორბლის სიცივეგამძლე, ადრეული და გვალვაგამძლე ჯიში „ბობილო“. ამ ჯიშის ხორბალი ახლა ტაჯიკეთის ბევრ რაიონში მოჰყავთ. მიუხედავად 128 წლის ასაკისა, საიდოლიდ საიდმირზოევი ჯერ კიდევ მხნედ არის და კარგი მეხსიერება აქვს. მას სამი ვაჟიშვილი და ოთხი ქალიშვილი ყავს. უფროსი ვაჟიშვილი 76 წლისაა. სულ სახალხო სელექციონერის ოჯახში 77 კაცია. მათგან 55 კოლმეურნეობაში მუშაობს.

(ასს).



ყოველწლიურად უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი ბათუმი. სურათზე: ლენინის ბულვარი ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ს. კილაძისა.

ჩვენს საკონცერტო დარგაზეგში

კარმინა ბურანა

ბოვლენად იქცა ჩვენი მსმენელისათვის გამოჩენილი თანამედროვე გერმანელი კომპოზიტორის **კარლ ორფის** ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოების **„კარმინა ბურანას“** (ბავარიული საგალობლები) შესრულება.

ამ სცენურ კანტატას, როგორც მას თვით კომპოზიტორმა უწოდა, სიუჟეტურ საფუძვლად დაედო XIII საუკუნის უძველესი ლეგენდებისა და სიმღერების კრებული. ამ კრებულში მოთავსებულია ლირიკული და სატირული სიმღერები, რომლებშიც უბრალო ადამიანების ყოფა-ცხოვრება აისახა. მათში განდიდებულია მიწიერი ცხოვრება — გაზაფხული, სიყვარული, მხიარულება.

კარლ ორფი მოხიბლა ამ კრებულის წმინდა ხალხურმა საწყისებმა, რის საფუძველზე მან შექმნა უაღრესად ემოციური, ხატოვანი, მძაფრი მუსიკალური სახეებით აღსავსე ნაწარმოები.

„კარმინა ბურანა“ კანტატაა, დაწერილი სიმფონიური ორკესტრის, გუნდისა და სოლისტებისთვის.

ჩვენს საკონცერტო სცენაზე ეს ნაწარმოები გამოვენებითა და დიდი ენთუზიაზმით შეასრულეს საქართველოს სიმფონიურმა ორკესტრმა ზაქარია ხუროძის დირიჟორობით, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ გურამ ბაქრაძის ხელმძღვანელობით, სოლისტებმა — გ. დოლიძემ, ა. ავიძბამ, რ. კაკაბაძემ.

მ. ქავთარაძე.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

საინტერესო ნაპოვნი

ზაღვლი ერთ-ერთი უძველესი სოფელია ხაშურის რაიონში. აქ რამდენიმე ისტორიული ძეგლია. მიწის დამუშავების ან გათხრის დროს ხშირად პოულობენ ბრინჯაოს ხანის იარაღებს, ნივთებს, ძველ მონეტებს.

გასულ წელს კოლმეურნე გ. კაკანაძემ ხვნის დროს მიწიდან ამოაგდო სპილენძის მიკროქვაბი, სადაც აღმოჩნდა 25 ცალი უხვშად მოჭრილი სპილენძის მონეტა. მონეტები მოჭრილია ვახტანგ V-ის (შაჰნავაზი), ვახტანგ VI-ის, ბაქარისა და სვიმონის მეფობის დროს.

ამას წინათ, მიწის დამუშავების დროს სოფლის ცენტრში წააწყდნენ უძველესი ხანის ნამარხს. ნამარხში აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ხიმარი იარაღები და სამკაულები — სამი ცალი სატევარი, ამდენივე შუბის პირი და ერთი ცალი ქამრის ბაზონდა, რომელზეც მელიის თავია გამოსახული.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბრინჯაოს ერთი შუბის პირი. მისი სიგრძე 35 სანტიმეტრია. შუბის პირი შემკულია შტრიხოვანი ორნამენტით. საკინძებზე (ყუნწზე) კი გამოსახულია ერთმანეთს ზურგშეკცეული, პირდაღებული მგლები.

ბრინჯაოს ასეთი შუბის პირი იშვიათად მოიპოვება ჩვენს ტერიტორიაზე. ასეთი შუბის პირით უთუოდ შეიარაღებული იყო მხედართმთავარი. რიგითი მებრძოლების ბრინჯაოს შუბის პირები კი უბრალოდ არის დამზადებული.

სოფელ წაღვლში აღმოჩენილი მონეტები, ბრინჯაოს იარაღები და ნივთები დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ვ. გურგენიძე,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

საინტერესო სიახლენი

ცემენტის მტვერი — ნიადაგის სასუქი

ქალაქ ტალინში ცემენტის ქარხნის „პუნანე კუნდას“ ჭიშკართან რიგში დგანან ცარიელი სატვირთო ავტომანქანები. რესპუბლიკის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობიდან გამოგზავნილი წარმომადგენლები ჩამოსული არიან აქ არა ცემენტის მისაღებად, არამედ „კუნდასური ვიტამინის“—ცემენტის გამოსაწვავ ღუმელთა მტვერის წასაღებად.

კლინკერის გამოწვისას ღუმელში გროვდება მტვერი, რომელიც ფაქტიურად შესანიშნავი თვისების სასუქია. როდესაც ცემენტის გამოსაწვავად მაზუთს იყენებდნენ ელექტროფილტრებზე ილეწებოდა 25-30-პროცენტიანი კალიუმის ჟანგი, რომელიც ნიადაგის სასუქად კარგია, ცემენტისათვის კი მავნე მინარევია, აქვეითებს მის ხარისხს.

შარშან მაზუთის ნაცვლად შეუდგნენ ადგილობრივი საწვავი ფიქალების გამოყენებას. კალიუმის ჟანგის შემადგენლობა მტვერში შემცირდა, მაგრამ სამაგიეროდ ცემენტის მტვრის შემადგენლობაში აღმოჩნდა ნიადაგისათვის დიდად სასარგებლო მიკროელემენტები — სპილენძი, მარგანეცი და სხვ. ქიმიური მრეწველობის მოსკოვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეისწავლეს ცემენტის ეს მტვერი და ურჩიეს მიწათმოქმედთ გამოიყენონ იგი ნიადაგის სასუქად.

ესტონეთის ზოგ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ამ მტვერის სასუქად გამოყენების ცდამ კარგი შედეგი გვიჩვენა. საცდელ ნაკვეთებზე კარტოფილის მოსავალი 100 კვინტალ დერატულ მეტრზე გაიზარდა 53 კილოგრამით, ქერისა — 4 კილოგრამით და საკვები ბალახებისა—10-11 კილოგრამით.

დედამიწის სითბო — სახალხო მეურნეობას

დედამიწის ქერქი აურაცხელი თბილ და ცივ წყაროებს დარავს. მეცნიერები ასეთ წყაროებს გეოთერმულ უწოდებენ. ჩვეულებრივად თბილი და ცხელი წყაროები შედაპირიდან 500-3.000 მეტრის სიღრმეზეა, და თუ სათანადო სიღრმეზე გავთხრით ჭაბურღილს, ეს წყაროები მძლავრ შადრევნებად ამოიჭრებიან წყალიდან, მაშასადამე, შეიძლება ამ ენერგიისგან ელექტრონული „ცივი თუ არა“ — ნაოსნობის განვითარების ისტორიიდან, 18.55 — კონცერტი მეხანძრეთა თხოვნით, 19.25 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის „ეუთათურების“ ტრანსლაცია, 22.00 — ახალი ამბები, 22.15 — საესტრადო-სატელევიზიო ალმანახი „საღამობო“.

ხელოვნური ტყავი

მეცნიერებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ისეთი პოლიმერული მასალების შექმნაში, რომლებისგანაც შეიძლება დავამზადოთ ნატურალურ ტყავზე არანაკლები ღირსების ხელოვნური ტყავი.

სომხეთის ქიმიკოსებმა ე. წ. ლატექსებისაგან შექმნეს ხელოვნური კრეპი — ნატურალური ტყავის შემცვლელი, რომელიც საუკეთესო ხარისხის საზედაპირე ტყავს არც სილამაზით ჩამოუვარდება, არც გამძლეობით და არც სიმუყეთ. ასეთი ხელოვნური ტყავის პირველი პარტია უკვე გადასცეს ფეხსაცმლის ფაბრიკებს ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის საცდელი პარტიის გამოსაშვებად.

„მარადიული“ მილეგი

სამთო მანქანათმშენებლობის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ხარკოვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შექმნეს ახალი დანადგარი, რომელითაც ამზადებენ მინაპლასტიკის მილებს.

ახალი დანადგარი ასათვისებლად გადასცეს მინაპლასტიკის ქარხანას, რომელიც ქალაქ უფაშია. ქარხანაში უკვე გამოუშვეს „მარადიული“ მილების პირველი ნიმუშები, რომლებმაც გამოცდისას შესანიშნავი თვისებები გვიჩვენა. მინაპლასტიკის მილები ლითონის მილებთან შედარებით ოთხჯერ უფრო მსუბუქი და ბევრად უფრო მტკიცეა. მათ გაუძლეს 200-მდე ატმოსფერულ წნევას, მაშინ, როცა ასეთ წნევას ლითონის მილი ხანგრძლივად ვერ იტანს. მინაპლასტიკის მილი კოროზიას არ განიცდის, ხოლო შემდეგ დაიწყება მუშაობა ადგილობრივი ქალაქების საცხოვრებელი უბნების თბოფიკაციისათვის.

„ალაზნის“ წარმატება

მართალია, „ბ“ კლასის გუნდებს საკავშირო ჩემპიონატის სტარტი ჯერ არ აუღიათ, მაგრამ „ალაზანმა“ უკვე მიიღო დიდი ფეხბურთის ნათლობა.

გუშინ გურჯაანელებს თავიანთ მოედანზე პირველი მატჩი ჰქონდათ სსრ კავშირის თასზე. მათ მოწინააღმდეგე იყო ბაქოს „დინამოს“ კოლექტივი.

გურჯაანელმა ფეხბურთელებმა აჩვენეს კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, კოლექტიურობა და გაამარჯვეს ანგარიშით 3:1.

„ალაზანი“ სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგ მატჩს გამართავს 21 აპრილს კიროვაბადში ადგილობრივ „დინამოსთან“.

„ლოკომოტივი“ კულეგს კარგავს

გუშინ დებიუტანტს — თბილისის „ლოკომოტივს“ „დინამოს“ სტადიონზე პაექრობა ჰქონდა ტალინის „დინამოს“ ფეხბურთელებთან. თამაშს უფრო ძალისმიერი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ტექნიკურისა. სტუმრები ცდილობდნენ გარღვევაზე გასვლით წარმატების მიღწევას, მაგრამ დადამწყვეტ მომენტში იბნეოდნენ.

არც ლოკომოტივის ფორვარდები გამოირჩეოდნენ შედეგიანობით. ისინიც ბევრს სცოდავდნენ. განსაკუთრებით მეორე ტაიმის ბოლო წუთებში მათ დაკარგეს წარმატების რეალური შანსები.

მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

... • მატჩები • ტურნირები • ჩემპიონატები •

„ჩემპიონთა რისხვა“ ტრადიციას არ ღალატობს

ჩვენი კუბიშეველი სტუმრები უმაღლესი ლიგის იმ ფეხბურთელთა რიგებიდან მეიკუთვნებიან, რომლებიც საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას არ აცხადებენ. ამასთანავე სატურნირო ცხრილში შედარებით მყუდრო ადგილებს ეძებენ და გამოირჩევიან ბრძოლის საკუთარი სტილით.

ამ გუნდში ვხედავთ ერთ უჩვეულო თვისებას. მას შეუძლია შედარებით ადვილად დაკარგოს ქულები, ვთქვათ, აუტსაიდერებთან, სამაგიეროდ მათს ანაზღაურებას ახერხებს ჩემპიონებთან, ლიდერებთან. ამიტომ ფეხბურთის წრეებში კუბიშეველებს ზედმეტსახელად სამართლიანად „ჩემპიონთა რისხვა“ შეარქვეს.

XXVI ჩემპიონატში კუბიშეველთა სტარტი არასახარბიელო აღმოჩნდა. ორი დამარცხება, ერთი ფრე ბურთების სხვაობით 0-3 — აი მათი ბალანსი დინამოელებთან მატჩის წინ. თბილისელები კი ლიდერები იყვნენ, თანაც ისეთები, რომლებსაც საკუთარ კარში არც ერთი ბურთი არ ჰქონდათ მიღებული. სწორედ ასეთ მეტოქესთან იყო ბრძოლა სასახელო, იგი „კრილია სოვეტოვის“ თამაშის ნამდვილ სტიქიას წარმოადგენდა.

გავიხსენოთ დამახასიათებელი მომენტები.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში პირველ კუთხურს თბილისელთა კართან, დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. აი საგოლო მომენტები მე-3, მე-6 და მე-7 წუთებზე. ჯერ სეტრეველმა მეკარესთან პირისპირ ბარქაია გაიყვანა, მაგრამ სოკოლოვი ფეხებში ჩაუვარდა საშიშ ფორვარდს, შემდეგ კი ბარქაიამ ჩინებულად ძიაწოდა მეტრეველს. აქ მცველებმა როგორლაც მოასწრეს კარის გადარჩენა. ბოლოს აფშევეს „კარის აღების“ რეალური საშუალება ჰქონდა, მაგრამ ბურთი ასცდა მიზანს.

სწორედ ასეთ მომენტში არიან კუბიშეველები სახიფათონი. იერიშებით გართული მეტოქის ყურადღების ოდნავი მოდუნებითაც კი ისინი ჩინებულად სარგებლობენ და წარმატებასაც აღწევენ. ეს მომენტიც დაუდგათ მათ და არცთუ მოგვიანებით. მე-10 წუთზე მცველთა ოდნავი დაყოვნება. მეკარე ლეჟავას არასწორი რეაქცია გუნდს ძვირად დაუჯდა. მარცხება გამარბმა კიკინმა აქამდე დინამოელთა „აუღებელ კარში“ პირველი ბურთი გაიტანა.

მოულოდნელმა გოლმა დინამოელთა განწყობილება მკვეთრად შეცვალა, დაირღვა ურთიერთ კავშირი, თავი იჩინა ნერვიულობამ, პანიკამ დაცვის ხაზში. ხშირად სცოდავდა ცხოვრებოვი. კუბიშეველებს „სასურველი ამინდი“ დაუდგათ, ისინი არ ერიდებოდნენ უხეშობას. შეიძლება ითქვას, რომ წუთიც კი არ გასულა ისე, რომ არ გაგვეგო მსაჯის სასტვენის ხმა, რომელიც გვამცნობდა ჯარიმებს.

მეორე ტაიმში ბრძოლის სიმძაფრემ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. იშვიათი ნებისყოფა, ფიზიკური მომზადება, ერთსულოვნება გამოამჟღავნეს კუბიშეველებმა. ისინი ყოველთვის და ყველგან ასწრებდნენ, მოკმედებდნენ პრინციპით — ყველახი დაცვაში, ყველანი იერიშებზე. საერთო მოწონება დაიმსახურა გუნდის კაპიტანის ფედოროვის (№ 10) თამაშმა. იგი იერიშების მაორგანიზებელი, გუხდის სული და გული იყო.

მეორე ნახევარი ,ითი დაიწყო, რომ ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტში სტუმართა კარი ღიად დარჩა, მეტრეველს თავური დარტყმით ბურთი კარისაკენ მიექანებოდა, მაგრამ აქ სად იყო და სად არა, გაჩნდა გრიშინი და თავისი გუნდი უტყუარი გოლისაგან იხსნა.

ბურთები გადაოდა, დინამოელები აუკაოა დამარცხების წინაშე აღმოჩნდეხ. ამიტომ მათ მხოლოდ ერთი გზა დარჩეხოდათ—იერიშები, მხოლოდ იერიშები. ყველა საგოლო მომენტის აღწერა ძნელია, რადგან ისინი ბევრი იყო. შეიძლება ითქვას ერთი — სტუმართა კარი რამდენჯერმე სასწაულებრივად გადარჩა. იყო შემთხვევა, როდესაც მეკარის პირისპირ ბუთი დინამოელი იდგა და აქ ბურთის გატანა ვერ მოხერხდა.

თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთიღა იყო დარჩენილი, როცა „კრილია სოვეტოვის“ ხაჯარიმო მოედანზე შექმნილი ორმეტრიანი მხაჯის სასტვენის ხმამ შეაჩერა — ეს იყო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის მაუწყებელი, და სავსებით სამართლიანად. ჯერ ერთი, მცველი კაპსინი ხელით ჩაებღაუჯა ბურთს, ამასთანავე ბარქაიას ფეხებში სტაცეს ხელი.

მეტრეველის დარტყმა უნაკლო აღმოჩნდა — 1 : 1.

„კრილია სოვეტოვის“ ნაადრევი სიხარული ორი ქულის ვარაუდზე სინანულით შეიცვალა. მაგრამ კუბიშეველები მაინც კმაყოფილი დარჩნენ იმითაც, რომ ლიდერს ქულა წაართვეს და ისიც საკუთარ მოედანზე.

ვ. გაგელია.



... ჩემპიონატები

... პირველი სიხარული

სტარტზე წარუმატებლობამ ქუთაისს „ტორპედოს“ გულშემატკივართა სინანული გამოიწვია, მაგრამ ამასაც ზომ უნდა ჰქონოდა დასასრული.

და აი ისიც.

მეხუთე ტურში ქუთაისელთა მოწინააღმდეგე გორკის „ვოლგა“ იყო, რომელმაც თბილისში გამოსვლით კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მეტოქეები აგრესიული ბრძოლისათვის იყენენ განწყობილი და ამან თავიდანვე იჩინა თავი.

მე-7 წუთზე სტუმრების კართან დანიშნულ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო. კუტავაძის დარტყმით ბურთი ძელს მოხვდა და მოედანს დაუბრუნდა. მეორე დარტყმა, ამჯერად ჩხარტიშვილს, უვნებელყო „ვოლგის“ მეკარემ.

მასპინძლები მაღალი ტემპით და ინიციატივიანად იბრძოდნენ, ეერიშს ეერიში მოსდევდა. 27-ე წუთზე მელაშვილმა კარგად გაიყვანა ჩხარტიშვილი, რასაც მოჰყვა ამ უკანასკნელის დარტყმა. მეკარე ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მას აღარ შეეძლო ბურთის მოგერიება. ამჯერად მისი მოვალეობა მცველმა ლუნინმა იკისრა, მაგრამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჯარა — 1:0.

ეს ანგარიში უცვლელი დარჩა პირველ ნახევარში.

მეორე ტაიმში სტუმრები მთელ ენერგიით შეეცადნენ ინიციატივის ხელში აღებას და კონტრთამაშის შექმნას, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მე-60 წუთზე კვლავ მელაშვილის მიწოდებით ბუთი გატანა ხაჯალიამ. 3 წუთის შემდეგ იგივ მესამე გოლის ავტორი გახდა.

ტორპედოელებმა მატჩი შესანიშნავად ჩაატარეს, მოიგეს იგი ანგარიშით 3:0 და სატურნირო ცხრილში პირველი ორი ქულა ჩაიწერეს.

აი მათი შემადგენლობა: ურუშაძე, ოდიკაძე, თორაძე, სიმაშვილი, კუტიკაძე, ნიშნიანიძე, ხაჯალია, ჩხარტიშვილი, მელაშვილი, მუმლაძე, ბულია (ხერხეიძე).

შ. ჯავახაძე,
საკ. კორ.

... ...

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო (მე-3 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის** სახელობის — მე. ბებია, ილიკო და ილარიონი (მე-300 წარმოდგენა, მე-3 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **გრიბოედოვის** სახელობის — საჭიროა მატყ